

ენა და ენათმეცნიერება

მოზაიკური სამეტყველო არეალის ენობრივი კომპონენტის კვლევის მეთოდოლოგია

ციალა ბენდელიანი

Tsiala.Bendeliani@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2024.2.24.03>

მორფოსინტაქსის დონეზე სამეტყველო კოდების შერევის კვლევისთვის ვიყენებთ ჩვენ მიერ შექმნილ ტერმინებს: **მოზაიკური სამეტყველო არეალი/სამეტყველო მოზაიკური არეალი**, გარკვეული მოდიფიცირების საფუძველზე ტერმინებს: **მორფოსინტაქსებია, დიამორფოსინტაქსური კონსტრუქცია; სამეტყველო კოდთა მატრიცა, სამეტყველო კოდთა იერარქია.** მოზაიკური სამეტყველო არეალის შემთხვევაში აქცენტირებულია სამეტყველო ნაირგვარ კოდთა **სივრცეში განლაგება** სამეტყველო ჯგუფების მიერ შემონატანი თავისებურებებით, ხოლო სამეტყველო მოზაიკურ არეალში ყურადღებას ვამახვილებთ ამ განლაგების **დროით ფაქტორზე**. მიგრაციების დროს ამ ორი ტერმინის ერთმანეთისგან მოწყვეტა შეუძლებელია. საკვლევ არეალში **დიაკვაზიერგატიულსა და დიაკვაზინომინატიურ კონსტრუქციებს, ასევე, -ეე სუფიქსიან კონსტრუქციებს, კუნიდეთ დიამორფოსინტაქსური კონსტრუქციები.** ვიყენებთ სამეტყველო კოდების შერევის დემონსტრირების ხერხს: **სამეტყველო კოდთა იერარქია; გარკვეული მოდიფიკაციით ვიყენებთ სამეტყველო კოდთა მატრიცების შედგენის ხერხს.** ეს მეთოდები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სხვა ასეთსავე არეალებში.

საკვანძო სიტყვები: მოზაიკური სამეტყველო არეალი/სამეტყველო მოზაიკური არეალი, დიამორფოსინტაქსებია, დიამორფოსინტაქსური კონსტრუქციები, სამეტყველო კოდთა მატრიცა, სამეტყველო კოდთა იერარქია.

შესავალი. XIX საუკუნის II ნახევრიდან, განსაკუთრებით XX საუკუნის დასაწყისიდან, ამ საუკუნის ბოლომდე, ინტენსიურად წარიმართა მოსახლეობის შიდამიგრაციული, ასევე, ქართველური სამეტყველო კოდების უცხოენოვან არეალებშიგანსახლებისპროცესები. ამსაფუძველზე თანდათან მომრავლდა ისეთი ტერიტორიული სეგმენტები, სადაც თავი მოიყარა სხვადასხვა დიალექტურმა და, ზოგ შემთხვევაში, უცხოენოვანმა სამეტყველო კოდმა. ისტორიულად საქართველოს კუთხეებში, უმეტესად ქალაქის ტიპის დასახლებებში, მრავლად ცხოვრობდნენ საქართველოს

ც. ბენდელიანი

მოსაზღვრე ეთნოსთა წარმომადგენლები. ზოგი მათგანი საქართველოს ტერიტორიის მითვისების შემდეგომ აღმოჩნდა ქართველური მოსახლეობის მეზობლად. თანამედროვე საქართველოში შორეული ქვეყნებიდან იმიგრაციულმა პროცესებმა მოსახლეობის განსაკუთრებული პოლიეთნიკურობა წარმოქმნა.

საქართველოს საზღვრებს შიგნით შიდა მიგრაციების გამო ხშირად ვხვდებით ერთ ტერიტორიულ სეგმენტში ღია/დახურულ სამეტყველო და ეთნოსივრცეებად, კომპაქტურად და არაკომპაქტურად განსახლებულ მიგრანტებს ერთეული, ათეული და ხშირად მსხვილი დიალექტური ჯგუფების სახით. ასეთი არეალები განსაკუთრებული სამეტყველო სპეციფიკით ხასიათდება. ეს სპეციფიკა ვლინდება ფონეტიკა/ფონოლოგიაში, მორფოლოგიაში, სინტაქსისა და მორფოსინტაქსში.

ჯერ კიდევ ჰ. შუხარდტი წერდა: „იმ პრობლემებს შორის, რომლებსაც ამჟამად ამუშავებს ენათმეცნიერება, არც ერთი არ არის ისე მნიშვნელოვანი, როგორც ენათა შერევის პრობლემა. ეს პრობლემა პირველ რიგში დაწვრილებით იქ უნდა იქნეს შესწავლილი, სადაც არსებობს საუკეთესო პირობები ენათა შერევების პროცესებზე დაკვირვებისა და მისი მეცნიერული შესწავლისა“ (შუხარდტ 1950: 175).

ქართულ ტრადიციულ დიალექტოლოგიაში ყურადღება ექცეოდა მსგავს არეალებს, გამოიყენებოდა შესაბამისი ტრადიციული დიალექტოლოგიური ტერმინებიც: **გარდამავალი სამეტყველო ზონები, მომიჯნავე დიალექტები, მარგინალური ზონები, მოსაზღვრე დიალექტები...**

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყება ასეთ ტერიტორიულ დიალექტთა მონაცემების კომპლექსურად შესწავლა; მკვიდრდება უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში შემუშავებული (ნათარგმნი) ან ორიგინალური ტერმინები: **ბილინგვიზმი, ინტერფერენცია ენაში/ მეტყველებაში, ტრანსფორმაცია, კოდების შერევა, გადართვა, დიგლოსია და სხვ. ეს ტერმინები ახლაც გამოიყენება.**

საკვლევი ქვემოიმერულის დასავლეთით გასული საუკუნის დასაწყისიდან დღემდე თავი მოიყარა ქართული ენის რამდენიმე დიალექტურმა კოდმა: ლეჩუმურმა, აჭარულმა, მესხურმა, გურულმა, ეკომიგრაციებისა და საყოფაცხოვრებო მიგრაციების საფუძველზე გვხვდება ლენტეხელ სვანთა კომპაქტური/არაკომპაქტური დასახლებანი, აფხაზეთის ომის შემდგომ ზემო და ქვემო სვანთა, მეგრელთა სამეტყველო კოდები.

ასეთი არეალები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სულ ცოტა ორი საუკუნეა არსებობს. ვგულისხმობთ აღმოსავლეთ მთიანეთის

აპარი ფერმოლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოაზვ, 2024, №2(24)

მოსახლეობის მიგრაციებს კახეთსა და ქართლში, სამხრეთ საქართველოში, მუჟაჯირების სამეტყველო კოდებს თურქეთში და ა.შ. საერთოდ, მოსახლეობის გადაადგილება ხდებოდა ადრეულ ხანებშიც, ფეოდალურ საქართველოში ასეთ გადაადგილებათა მრავალი ტიპია გამოვლენილი (ნ. ბერძენიშვილი).

მეთოდები. ნაშრომში გამოყენებულია საკვლევი არეალის დესკრიფიციული აღწერის მონაცემები, სამეტყველო კოდების შერევისას ჩვენ მიერ შექმნილი **მოზაიკური სამეტყველო არეალის** მეთოდითა და ხერხით მოპოვებული და გაანალიზებული დიალექტოლოგიური ფაქტები. მოცემულია ამ და სხვა ტერმინთაჩვენეული დეფინიციები, საილუსტრაციო მასალის ანალიზისას გამოყენებულია ისტორიულ-შედარებითი და იმანენტური მეთოდები.

მსჯელობა. მოზაიკური სამეტყველო არეალი. სიტყვა **მოზაიკა** ნაირგვარი გამოყენებისაა. ტერმინი **მოზაიკურობა** დიდი ხანია არსებობს საერო და სასულიერო ფერწერაში. ლიტერატურათმცოდნეობაში იშვიათადაა გამოყენებული, მაგრამ მაინც გვხვდება კოლაჟის მხატვრული ხერხის ეკვივალენტად. XX საუკუნის დასაწყისის ქართული მოდერნისტული რომანის ეს კომპოზიციური და, ამასთანავე, სტილური ხერხის ტრადიცია გრძელდება 60-70-იანი წლების პროზაში – თხრობაში ჩართულია დოკუმენტური მასალა: აფიშები, აბრების წარწერები, იმიტირებული ნაწერები, ამონაწერები დოკუმენტებიდან და სხვ. ასეთი მასალები ქმნიან მრავალგანზომილებიან რომანულ ქრონოტოპს. ევროპული რომანის ეს სტილური ხერხი ამჟამადაც გამოიყენება. კოლაჟი გვხვდება ქართულ მხატვრულ ფილმებშიც, მსოფლიო და ქართულ მხატვრობაში.

ჩვენ მიერ შექმნილი ტერმინები **მოზაიკური სამეტყველოა რეალი/სამეტყველო მოზაიკური არეალი** ერთმანეთის სრულად იდენტური არ არის. მოზაიკურ სამეტყველო არეალებში განმსაზღვრელია **სივრცული ფაქტორი**, ხოლო სამეტყველო მოზაიკურ არეალებში – **დროის ფაქტორი**. სამეტყველო კოდების შერევის კვლევისას ამ ტერმინების ერთმანეთისგან მოწყვეტა შეუძლებელია, რადგან სამეტყველო კოდების შერევის პირობებს ერთობლივად ქმნის როგორც სივრცული, ისე დროითი ფაქტორი. ხშირ შემთხვევაში სივრცისა და დროის ფაქტორთა განუყოფლობის გამო მათ ურთიერთმონაცვლედ გამოყენებას პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს. ეს ტერმინები საშუალებას იძლევიან შერევის პროცესებს დავაკვირდეთ სტრუქტურირებულ გარემოში, დროსა და სივრცეში. ამ შემთხვევაში დროისა და სივრცის განუყოფლობას შეიძლება უკეთ წარმოგვიდგენდეს ლიტერატურათმცოდნეობაში გამოყენებული ტერმინი დროსივრცის ქრონოტოპი (მ. ბახტიონი).

ც. ბენდელიანი

მოზაიკური სამეტყველო არეალების კვლევისას ამ ტერმინით აღწერილი გვაქვს ერთ ტერიტორიულ სეგმენტში თანდათანობით თავმოყრილი ენობრივი/დიალექტური სამეტყველო კოდებისა და მათი ურთიერთშერევის პროცესები ინტერდისციპლინურ სიბრტყეზე. მოზაიკას ქმნიან არა მხოლოდ ენობრივი/დიალექტური კოდები, არამედ მიგრირებული ენობრივი/სამეტყველო ჯგუფების ეთნორეალიები, მოსახლეობის დემოგრაფიული ცვლა, სტრატიფიკაციული ვარიანტულობა.

კონკრეტულ სამეტყველო ტერიტორიულ სეგმენტში დროთა განმავლობაში მიგრაციების გამო თავმოყრილ ნაირგვარი სამეტყველო კოდების გამო „წარმოქმნილ „ბუნებრივ ლაბორატორიაში“ მიმდინარეობს სამეტყველო კოდთა, ეთნორეალიათა და ა.შ. შერევების პროცესი.

მოზაიკურ სამეტყველო არეალში აქცენტი გადატანილია სოციალური /სამეტყველო ჯგუფების ურთიერთმეზობლად **განლაგებაზე**, რომლის გამოც ხდება შერევის, ასიმილაციისა და სამეტყველო თავისებურებათა ნიველირების პროცესები არა მხოლოდ ენობრივად, არამედ სოციოლინგვისტიკურადაც. ენობრივი კომპონენტის კვლევისას საუკეთესო დამხმარე საშუალებაა სოციოლინგვისტიკური ინფორმაცია, როგორიცაა, მაგალითად, ფორმათა გამოყენება, შერევა ან დაკარგვა მოსახლეობის უფროსი ასაკის პირებთან („მემკვიდრეობით მოსაუბრებთან“), ინოვაციების, უცხოენოვანი მასალის შემსვლა საშუალო და უმცროსი ასაკის პირების სამეტყველო რეპერტუარებში („ტიპური მოსაუბრები“).

ასეთ არეალებში დროთა განმავლობაში „წარმოქმნება არა მხოლოდ სამეტყველო ერთობა, არამედ ყალიბდება სოციალური მსხვილი ჯგუფებიც, რომელთაც აქვთ ნარევი სამეტყველო და ეთნორეალიები, შეიძლება ჩამოყალიბდეს ერთიანი ეთნოსი და ერიც (შდრ. ამერიკის კოლონიზაციის შემდეგ ამ კონტინენტზე მიმდინარე პროცესები).

შესაძლებელია, მრავალი წლის განმავლობაში სამეტყველო ერთობა საერთოდ არ წარმოიქმნას. ამის მაგალითები არსებობს როგორც ქართველური, ისე სხვა ენების სინამდვილეში.

განსხვავებით მოზაიკური სამეტყველო არეალებისგან, **სამეტყველო მოზაიკურ არეალებს** აქვთ **დროითი** ფაქტორი, რომლის საფუძველზეც ვაკვირდებით ცვლილებებს სამეტყველო კოდის ენობრივ კომპონენტში. მიმღებ სამეტყველო კოდთან, სალიტერატურო ენასთან. სამეტყველო დიალექტურ კოდებთან მიმართებებს ვიკლევთ ენის იერარქიული მოდელის/სამეტყველო კოდების იერარქიის მიხედვით და ვადგენთ შესიტყვებათა მატრიცებს სამეტყველო კოდების შერევის ნათელსაყოფად

აპარი ფერგოლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოაშვი, 2024, №2(24)

(შრეობრივი მეთოდის, სამეტყველო კოდთა იერარქიის მეშვეობით). ყოველ ასეთ არეალში დროის დერმის გათვალისწინებით ცვლილებებს განიცდის თითოეული სამეტყველო კოდი თავისთავად და ერთმანეთთან მიმართებით.

საერთოდ ენებში/დიალექტებში ცვლილებების მთავარი ფაქტორია დრო. მიგრირებულ სამეტყველო კოდებს იდენტობას უნარჩუნებს „საკუთარი სამრეკლოს სული“, ხოლო შერევებს იწვევს ურთიერთობის ძალა ანუ ურთიერთობის მოთხოვნილება (სოსიური 2002: 205), ესეპირის გამოკვლევით, თვით პრიმიტიული ტომებიც არ ცხოვრობენ იზოლირებულად (სეპირი 2005: 197).

მოზაიკურ არეალებში შეიძლება განზოგადდეს რომელიმე ერთი დიალექტური სამეტყველო კოდი მთლიან არეალში, მაგალითად, მუჰაჯირების ქართულენოვან კოდებში გაივრცოა ჭარულის დიალექტური თავისებურებანი. შეიძლება სამეტყველო ერთობა არ ჩამოყალიბდეს, მაგალითად, პლასტუნკელ ქართველებში სამეტყველო ერთობა არ იყო ჩამოყალიბებული, დიალექტურ ჯგუფებს შენარჩუნებული ჰქონდათ თავიანთი სამეტყველო დიალექტური თავისებურებანი.

თუ **მოზაიკურობას** შევადარებთ ისეთ მეთოდს, როგორიცაა უ. ვაინრაიხის **დიასისტემის** მეთოდი (ვაინრაიხ 1972), რომლის მიხედვითაც იქმნება ენის სახესხვაობათა ანუ ვარიანტთა, ტრადიციული დიალექტოლოგიური ტერმინოლოგიით, დიალექტთა, სუპერსისტემა, განსხვავებას ქმნის ის, რომ დიასისტემის მეთოდით შეისწავლება ენის სახესხვაობები ანუ ვარიანტები ერთი ენის ფარგლებში, ხოლო მოზაიკურობის მეთოდი გულისხმობს სამეტყველო და ეთნორეალების შერევას ერთი ენის გასხვავებულ სისტემათა შორის, ასევე, შერევის პირობებს შეიძლება ქმნიდეს უცხოენოვანი კოდებიც, როგორც სამეტყველო, ისე ეთნორეალიების მეშვეობით. ამ მეთოდის მეშვეობით იქმნება მეტი შესაძლებლობა შერევის პროცესებზე დასაკვირვებლად, სამეტყველო დიფერენცირებულობიდან სამეტყველო/ეთნოგრაფიული ერთობის წარმოქმნამდე.

დიასისტემის მეთოდით სტრუქტურულ დიალექტოლოგიაში დგინდება ენის სახესხვაობებს შორის საზღვრები, ხოლო მოზაიკურობის მეთოდი ასეთ კვლევას არ გულისხმობს, მისი მეშვეობით საშუალება გვეძლევა კონკრეტულ ტერიტორიულ სეგმენტში დავაკვირდეთ მხოლოდ დროის განმავლობაში მიგრაციების საფუძველზე თავმოყრილ კოდთა ერთმანეთზე ზემოქმედებას და დამოკიდებულებას მიმდებ სამეტყველო კოდთან, სამწიგნობრო ენის კოდთან.

მოზაიკური სამეტყველო არეალი უფრო მოცულობითია, მისი მეშვეობით შეიძლება გაანალიზდეს როგორც დახურული, ისე ღია

ც. ბენდელიანი

სამეტყველო/სოციალური და ეთნოჯგუფები და მათი მონაცემები. მან შეიძლება მოიცვას „კუნძულური“ სამეტყველო ჯგუფებიც.

ენის იერარქიული მოდელი/სამეტყველო კოდთა იერარქია: პირველი გულისხმობსწმინდა ენობრივ მოდელს (გრამატიკის დონეთა მიხედვით): ფონეტიკა/ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი, მორფოსინტაქსი, მაგრამ მას ვერ დავცლით სოციალური შინაარსისგან, მით უფრო სინქრონიულსა და დიაქრონიულ სიბრტყეებზე კვლევისას ენობრივი და გარეენობრივი ფაქტორებისგათვალისწინებისაუცილებლობისგამო. ენობრივიმოდელის/ გრამატიკის მიხედვით სამეტყველო გამოხატულებაა **სამეტყველო კოდთა იერარქია**, რომელიც გვხვდება ნებისმიერ სამეტყველო არეალში. იგი შეიძლება მუდმივი იყოს საუკუნეთა განმავლობაში ან საერთოდ მოცემული ენის ისტორიაში, ოღონდ შესაძლებელია სალიტერატურო ენას პერიოდულად მოაკლდეს „პრესტიულობა“ ან, პირიქით, გახდეს მეტად „პრესტიული“. ამ მხრივ მრავალი ფაქტორი შეიძლება მოქმედებდეს.

საკვლევ არეალში, ასევე, ასეთ არეალებში საქართველოს მასშტაბით, ისტორიულად უმაღლეს საფეხურზე იდგა და ახლაც დგას სამწიგნობრო ანუ სალიტერატურო ენა და მისი სამეტყველო კოდი, მაგრამ ქართული სამწიგნობრო ტრადიცია გვაძლევს საშუალებას წერილობით კოდში გამოვყოთ სასულიერო და საერო სამწიგნობრო ვარიანტები, რომლებიც XI საუკუნიდან ერთმანეთის გვერდით თანაარსებობენ (ტ.ფუტკარაძე, ც.ბენდელიანი). საკვლევ არეალშიც მოცემულია ეს მასალა.

სიგელ-გუჯრებისა და საეკლესიო დავთრების მონაცემები წარმოდგენას გვიქმნიან საერო და საეკლესიო პირთა მიერ ყოველდღიურად გამოყენებული სამეტყველო კოდების შესახებ. ამ საბუთებში მოცემულია სამეტყველო ენის ფორმები, დიალექტიზმები იმ კუთხეთა მიხედვით, სადაც საბუთებია შედგენილი. ჩვენი საკვლევი არეალისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მხარეში შედგენილი საერო საბუთების ენას, ლაპიდარიუმის ენას (საღინაძე 2017), საეკლესიო დავთრებს, მაგალითად, „ხონის საყდრის გამოსავალი დავთარი 1600 წლის ახლოს დროისა“ (კავაბაძე 1913; ბენდელიანი 2005: 95), ასევე, XVII საუკუნეში შედგენილი „აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხთა დიდი დავთარი“ (კავაბაძე 1914). ამავე საბუთებში მოცემულია ქვემომერულის ურთიერთობა მეგრულთან და ახლომდებარე სამეტყველო კოდებთან.

ამჟამადაც საქართველოში სალიტერატურო ენას ყოველ ტერიტორიულ დიალექტურ სეგმენტში აქვს ფსევდოსალიტერატურო ვარიანტი, სამეტყველო კოდი. იგი სალიტერატურო ენის სამეტყველო კოდის შემდგომ უფრო დაბალ საფეხურზე დგას. მასში მოცემულია ინდივიდთა/სამეტყველო ჯგუფთა მიერ ინდივიდუალურად აღქმული სალიტერატურო ფორმები, მორფოსინტაქსური ვარიანტები (მაგალითად,

აპარატულის ქახელაშვილი უნივერსიტეტის მოაზვ, 2024, №2(24)

ერგატიული/ნომინატიური და კვაზიერგატიული/კვაზინომინატიური კონსტრუქციების სახით, სალიტერატურო ენის მიბაძვით შექმნილი ფორმები). ხშირია ისტორიული ენობრივი მეხსიერების გამოვლენის ფაქტებიც.

უფრო დაბალ საფეხურს იკავებენ ტერიტორიული დიალექტური კოდები, ზოგჯერ მეტად, ზოგჯერ ნაკლებად ნარევი სახით სალიტერატურო ენასთან ან, მოზაიკურ სამეტყველო არეალებში, სხვა სამეტყველო დიალექტურ კოდებთან. ეს ქართულ ენობრივ რეალობას ასახავს უკანასკნელ საუკუნეებში და, იგულისხმება, რომ ადრეულ საუკუნეებშიც.

ამ საფეხურის ენობრივი მონაცემების ნათლად წარმოჩენას ემსახურება სახელური და ზმნური შესიტყვებების მიხედვით **სამეტყველო კოდების მატრიცებად** წარმოდგენა, სადაც მოცემულია ტერიტორიულ სეგმენტებში, ამ შემთხვევაში, ჩვენი საკვლევი არეალის მიხედვით, სამეტყველო ჯგუფების/ინდივიდთა მიერ გამოყენებული ნარევი სამეტყველო კოდები და ნარევი რეპერტუარები.

აქვე აღვნიშნავთ, რომ სინტაქსში გამოყენებული ტერმინ **შესიტყვების შესახებ** XIX საუკუნიდან იწყება მსჯელობა და კამათი. მას იყენებს არნ. ჩიქობავაც, მაგრამ დესკრიფციულ სინტაქსურ თეორიებში ეს ტერმინი პოლიფუნქციურად გამოიყენება, აღნიშნავს სინტაგმასაც და სიტყვათშეხამებასაც, წინადადებასაც.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად ტერმინი **სინტაქსება** (ლ. ბლუმფილდი) გულისხმობს სინტაქსურ კავშირს სიტყვათა შორის: სიტყვათშეხამებას, სინტაგმას, რომლებსაც ქმნის ვალენტური სიტყვა, მაგრამ არა წინადადებას. მორფოსინტაქსში ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ტერმინ **მორფოსინტაქსემის** გამოყენება. ამ ტერმინით იგულისხმება მორფოსინტაქსური ფაქტი ანუ მორფოლოგიური ფორმის მორფოსინტაქსურ კონსტრუქციაში ფუნქციონირების ცალკეული შემთხვევები, ენაში ისტორიულად არსებული სინტაქსური წესების მიხედვით, მით უფრო პოლიპერსონალური ქართული ზმნის შემთხვევაში. დიალექტურ მეტყველებაში აქტუალიზდება ენის ისტორიული სინტაქსური და მორფოსინტაქსური მოდელები, მაგრამ დიალექტში მოცემული შემოქმედებითობის საფუძველზე წარმოიქმნება სალიტერატურო ენისგან განსხვავებული სინტაქსური კონსტრუქციები, ზოგ შემთხვევაში ასეთი კონსტრუქციები ავსებენ სალიტერატურო ენის სინტაქსურ გამომსახველობითობას, აზრის გადმოცემის ნიუანსებს. ასეთი გამონაკლისები იქმნება დიალექტური სისტემების საფუძველზე, სადაც ფართო გასაქანი ეძლევა სპონტანურ მოვლენებსაც.

როგორც აღვნიშნეთ, დიალექტურ სამეტყველო კოდებში, ცხადია,

ც. ბენდელიანი

აქტუალიზდება ენაში ისტორიულად არსებული სინტაქსური და მორფოსინტაქსური მოდელები, მაგრამ, ამასთანავე, დიალექტებში მიმდინარეობს ენობრივი შემოქმედებითი პროცესებიც, წარმოიქმნება ორიგინალური სინტაქსური კონსტრუქციები, რომლის მსგავსს ვერ ვხვდებით სალიტერატურო ენაში. ასეთი კონსტრუქციები არის საკვლევ ქვემომერულშიც.

საკვლევ არეალში წარმოდგენილ სამეტყველო კოდებში საქართველოსა და საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ სამეტყველო კოდებთან მიმართებით ერთგვაროვან მორფოსინტაქსურ მოვლენებს შეიძლება უკეთ გამოხატავდეს, მაგალითად, ტერმინები: **დიაკვაზიერგატიული** და **დიაკვაზინომინატიური** კონსტრუქციები. სპეციალურ ლიტერატურაში გვხვდება **-დია** პრეფიქსით ნაწარმოები ტერმინები ფონოლოგიასა და მორფოლოგიაში: **დიაფონი** ფონოლოგიაში, სპეციალურ ლიტერატურაში შემოიტანა დ.ჯოუნზმა, რომლის მიხედვითაც ჯ. ჰამპერცმა შექმნა ტერმინი **დიამორფი** მორფოლოგიაში (ბენდელიანი 2012; ბენდელიანი 2018).

სამეტყველო კოდების მატრიცების მიხედვით წარმოდგენა ცნობილია სპეციალურ ლიტერატურაში (ე.ჰაუგენი, ჯ.ჰამპერცი). ეს ხერხი გამოყენებული გვაქვს ჩვენს ადრეულ ნაშრომშიც ქვემომერულ ლენტეხელ სვანთა ნარევი ქართულენოვანი კოდების აღწერისას. საილუსტრაციოდ კუხელ სვანთა (ხონის რ.-ნი) „კოდების მატრიცაში“ ჩავდეთ მხოლოდ ქართულენოვანი კოდები ერთი სიტყვის მაგალითზე, „**ბავშვი**“, საიდანაც ჩანს, რომელი სამეტყველო კოდი გამოიყენება უფრო აქტიურად, რომელია დიალექტური კოდის მომხმარებელთა მიერ „დასაშვები“ და რომელი „აკრძალული“:

1. ქვემომერული დიალექტი: **ბალანე/ბალანა** (არ გვხვდება „ბალანეი“, „აკრძალულია“ -წყენ, „თვითგამიჯვინის“ მიზნით).
2. სალიტერატურო ქართულის მიბაძვა: **ბავში** (ზოგჯერ სალიტერატურო ენის კოდი გრამატიკის დონეზე ასე თუ ისე დაცულია, მაგრამ შერეულია ინტონაცია).
3. სალიტერატურო ენა – **ბავშვი** (შეურევლად ეს კოდი თითქმის არ არსებობს).
4. ქვემომერულ-ლეჩხუმური: **ბოვშვი/ბოვში** (ამ კოდს სხვაზე მეტად ახასიათებს გარდამავალი ინტონაცია, არაბუნებრივი მახვილები, ბგერათა შეცვლილი ელფერით წარმოთქმა).
5. ლეჩხუმური: **ბოში** (აქ შერევა ხდება ფონეტიკა-ლექსიკის დონეზე, ინტონაციაც ხშირად ლეჩხუმურია).

6. ლეჩებუმური: **ბოქში** („აკრძალულია“ ლეჩებუმური -ყე-ს მსგავსად, ე.ი. შეურევლად ლეჩებუმური დიალექტი აქ არ გვხვდება).

7. სვანური ენა თანდათან გადის ხმარებიდან, ამიტომ **ბეფშვ** სქემაში მე-7 ადგილს დაიჭერს, ვინაიდან მისი გამოყენების პროცენტი ყველაზე მცირეა (ბენდელიანი, ნაკანი 1999: 49-50).

ეს სქემა უფრო მრავალფეროვანია, მრავალ ვარიანტს გვაძლევს შესიტყვებათა (სიტყვათშეხამების, წინადადების) მაგალითზე: (1) არ გამოიყენება კვაზიერგატიული კონსტრუქციები, **ეს რო, წევე** კავშირები სინტაგმებსა და რთულ ქვეწყობილ კონსტრუქციებში, (2) შეიძლება შეგვხვდეს ვულგარული შეთანხმების მაგალითები: **დით სახს** „დიდ სახლს“; **უთხარი მა კაც** „ვუთხარი მაგ კაცს“ და სხვ., (4) ნარევია სვანურ-ქვემოიმერული: **მინდვერზე დაკვტოვენ დასახლებული** „მინდორზე დაგვტოვეს დასახლებული“, შდრ. სვან. **მინდვერ** „მინდორი“; **წევდი ჩემ მამამთილთან**, ამბობს სვანი მამაკაცი, რადგან სვანურში **მუმეთილ** ნიშნავს „სიმამრსაც“ და „მამამთილსაც“, (5) პრაქტიკულად ხშირად ვერ ხორციელდება დევიზი: „ლეჩებუმელი კიარვარ“: **ბოშები ვერ გაჩერდებიან-თქვა ვიფიქრე**, (7) სვანური სიტყვები, სინტაგმები და ფრაზები ქართულად მეტყველებისას იშვიათია, თუარსაუბრობენ რელიგიურდღესასწაულებზე ან არ მღერიან სვანურ სიმღერებს (მაგალითად, „მირზნგულა“, რომელშიც ზემოსვანურში გვხვდება გრძელი ბ, ხოლო ლენტებურში იგი არ არის, ამით არის დადგენილი ამ სიმღერის წარმომავლობა).

თვითგამიჯვნის საფუძველზე წარმოიქმნება **ფსევდოსალიტერატურო კოდი**. იგი გარდამავალი საფეხურია დიალექტურ კოდებსა და სალიტერატურო ენის სამეტყველო კოდს შორის, ანალოგიურია კოინესი, მაგრამ მისგან არ ვითარდება სალიტერატურო სამეტყველო კოდი. ფსევდოსამწიგნობრო კოდი გვხვდება საეკლესიო საბუთებში, ამის მაგალითია ზემოდასახელებული „აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხთა დიდი დავთარი“ (XVIIIსკ.-ის შუა წლები.) და „ხონის საყდრის გამოსავალი დავთარი“ (XVIIIსკ.-ის დასაწყისი). სამწიგნობრო ენის სასულიერო ვარიანტის ფსევდოსამწიგნობრო კოდი უნდა ყოფილიყო არათუ დაბალ, არამედ, შესაძლოა, მაღალ საეკლესიო პირთა საყოველდღეო სამეტყველო კოდი.

ფსევდოსალიტერატურო კოდი უფრო მეტ სიახლოეს ავლენს **ინტრადიალექტურ** კოდთან, რომელიც გვხვდება აღმოსავლეთ მთის ხალხურ პოეზიაში (ჟღენტი 1965; ბურჭულაძე 2004:25-27), შეიძლება შეგვხვდეს პროზაულ და სასაუბრო ტექსტებშიც, სადაც მთქმელი ქმნის სალიტერატურო ფორმებთან მიმსგავსებულ ფორმებს და იყენებს თავისი თვითაღქმის მიხედვით, მაგალითად, დრო-კილოთა ფორმებს „...ვითომ სალიტერატურო ნორმის ცოდნით კეკლუცობს“ (ჭინჭარაული 1999: 242).

ც. ბენდელიანი

დასავლურ სამეტყველო არეალში, განსაკუთრებით ბარის სამეტყველო ზონებში ხალხურ პოზიტივი ასეთი რამ იშვიათია, პოზიტივის ენა ახლოა დიალექტურ მეტყველებასთან და არ სცილდება მას, რასაც თავისი მიზეზები აქვს: ამ ლექსების თემატიკა ძალზე ახლოსაა საყოველდღეო თემებთან, არ გვხვდება ისეთი ფილოსოფიური, ღრმა შინაარსის ნიმუშები, როგორიც აღმოსავლეთ მთის დიალექტებშია.

მაშასადამე, ფსევდოსალიტერატურო კოდი შედგება სალიტერატურო, დიალექტურ და ინდივიდუალურად აღქმულ სამეტყველო მიკრონთა და ალოფონებისგან, ალომორფებისგან, მორფოსინტაქსურ კონსტრუქციათაგან, მაგალითად, შემონატანი კვაზიერგატიული კონსტრუქციების შენახვა, სიხშირის მიხედვით კლება/მატება და დაკარგვა/შენახვა; მოთხოვობითი ბრუნვის მაგიერ სახელობითი ბრუნვის გამოყენება, სახელობითი და მიცემითი ბრუნვების ნიშანთა კლება, დაკარგვა, პრეპოზიციური წყობისას ე.წ. „ვულგარული შეთანხმება“ და ა.შ.

რეგიოლექტი ცნობილი ენათმეცნიერული ტერმინია. **რეგიონს** ქართულ სინამდვილეში ვხვდებით ოფიციალური ადმინისტრაციული ერთეულების აღსანიშნად. უკანასკნელ პერიოდში მისი მნიშვნელობა შეესაბამება მხარის (კუთხის) მნიშვნელობას. უმეტესად გამოიყენება უფრო ვრცელი გეოგრაფიული პუნქტების აღმნიშვნელად, მაგალითად, შავი ზღვის რეგიონი.

ტერმინი **რეგიოლექტი** სხვა ენის სინამდვილეშისხვა შინაარსს ატარებს: გერმანიის სინამდვილეში აღნიშნავს გერმანულ ცალკეულ მიწებს, სადაც ენობრივადაც და სახელმწიფო მოწყობის თვალსაზრისითაც ამ ტერმინს აბსოლუტურად სხვა მნიშვნელობა აქვს: თითოეულ გერმანულ მიწაზე გერმანული დიალექტების უფლებები უთანაბრდება საერთოგერმანული სალიტერატურო ენის უფლებებს, მას ისეთივე სტრუქტურა აქვს, როგორიც ამერიკისა და ევროპის სინამდვილეში სხვა ნაციონალური ენების სამეტყველო ვარიანტებს: უმაღლეს საფეხურზე დგას ნაციონალური სტანდარტული ვარიანტი, შემდგომ მოდის რეგიონული სტანდარტული ვარიანტი, შემდგომ ადგილს იკავებს რეგიონული დიალექტი/კონე/რეგიოლექტი, ხოლო შემდგომ საფეხურზეა ტრადიციული დიალექტები (Ammos ... 1996: 7).

ჩვენ მიერ გამოყენებული ეს ტერმინი დაცლილია ამ შინაარსისგან. მას ვიყენებთ საკვლევი არეალის ენობრივი სპეციფიკის აღსანიშნად. საკვლევი არეალი მოიცავს ხონის რაიონის ჩრდილოეთის სოფლებს კინჩხასა და გორდს, ხოლო სამხრეთით - დიალექტურ სამეტყველო არეალს ვანის ჩათვლით, აღმოსავლეთით - ქვემომერულის ნაწილს ქუთაისამდე,

აპარატულის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოაზვ, 2024, №2(24)

ხოლო დასავლეთით ამ არეალს აქვს ბუნებრივი საზღვარი მდინარე ცხენისწყლის სახით.

კვლევის შედეგად იმ დაკვნამდე მივედით, რომ ეს დიალექტური ტერიტორია გამოსაყოფია არა მხოლოდ იმის გამო, რომ ქვემოიმერულის გავრცელების არეალია, ამ სამეტყველო რეალობას აქვს თავისი ალმნიშვნელი – ქვემოიმერული დიალექტური სამეტყველო ზოლი, თუმცა მასში არ შედის ქუთაისური მეტყველება, ის ქალაქური ურბანოდიალექტია და განსხვავდება დიალექტური ზონებისგან (ლომთამე 2001). ტერმინის გამოყენების საფუძვლად მიგვაჩნია სწორედ ამ არეალის მოზაიკურობა, რომელიც თავისი არსით გულისხმობს სამეტყველო ერთობის ჩამოყალიბების პერსპექტივასაც.

დასკვნითი დებულებები

1. შიდამიგრაციებისა და იმიგრაციის პროცესების გამო ცალკეულ ტერიტორიულ დიალექტურ სეგმენტებში წარმოქმნილ სამეტყველო და ეთნორეალიათა თავმოყრისას იქმნება სპეციფიკური სამეტყველო სიტუაცია, რომელიც, შესაძლებელია, უკეთ იქნეს გამოკვლეული ტრადიციული მიდგომის გარდა სათანადო ახალი მეთოდებისა და ხერხების მეშვეობით.

2. ტერმინი **მოზაიკური სამეტყველო არეალი** გულისხმობს სამეტყველო და ეთნოჯგუფთა განლაგებაზე აქცენტირებას, მათი ურთიერთმეზობლობის ქრონოლოგიისა და ეტაპების კვლევას, ხოლო **სამეტყველო მოზაიკური არეალის** კვლევისას აქცენტირებულია დროის ფაქტორი, რის მიხედვითაც ხდება სამეტყველო კოდთა ურთიერთზემოქმედება და მიმართება სალიტერატურო ენის კოდთან.

3. ნაშრომში **მოზაიკურობის** ცნებისა და მეთოდის < **დიასისტემისა** (უ.ვაინრაიხი) და „**კუნძულური დიალექტოლოგიის**“ (ვ.ჟირმუნსკი) მეთოდებთან შედარების შედეგად ჩანს, რომ მათ შორის არის განსხვავებაც და მსგავსებაც: დიასისტემის მეთოდით იკვლევენ ენის სახესხვაობათა საზღვრებს ერთი ენის ფარგლებში და იქმნება სუპერსისტემა, ხოლო მოზაიკურობის შემთხვევაში კვლევის ობიექტია მიმართება მიმღებსა და მიგრირებულ სამეტყველო კოდებს შორის სამეტყველო ერთობის ჩამოყალიბებამდე. მოზაიკური სამეტყველო არეალი უფრო ტევადია, მასში შეიძლება განთავსდნენ დიალექტური „**კუნძულებიც**“.

4. ტერმინი **ენის იერარქიული მოდელი** გულისხმობს ენის გრამატიკულ დონეებს, რომლის სამეტყველო გამოხატულებაა **სამეტყველო კოდთა იერარქია:** სალიტერატურო სამეტყველო კოდი, ფსევდოსალიტერატურო კოდი და შეურეველი/ნარევი დიალექტური კოდები.

5. საკვლევ არეალში წარმოდგენილ ქართველურ დიალექტურ

ც. ბენდელიანი

სამეტყველო კოდებში ერთგვაროვან მორფოსინტაქსურ მოვლენათა აღსანიშნად შეიძლება ტერმინების: **დიასინტაქსური/დიამორფოსინტაქსური, დიაკვაზიერგატიული/დიაკვაზინომინატიური კონსტრუქციების გამოყენება.**

6. სამეტყველო კოდების მატრიცის (ჯ.პამპერცი, ე.პაუგენი) საილუსტრაციოდ ნაშრომში მოცემულია მიგრირებულ სვანთა კოდების მატრიცა სიტყვა „ბავშვის“ მაგალითზე, შემდგომ მატრიცა წარმოდგენილია სინტაქსურ/მორფოსინტაქსურ დონეზეც.

7. რეგიოლექტი გამოყენებული გვაქვს სამეტყველო მოზაიკურობის ანუ დიალექტურ ნაირსახეობათა აღმნიშვნელ სამუშაო ტერმინად, რომელიც გულისხმობს კონკრეტულ სამეტყველო მოზაიკურ არეალში სამეტყველო ერთობის ჩამოყალიბების პროცესსა და პერსპექტივასაც.

ლიტერატურა

- ბენდელიანი, ც. 2012. მოზაიკური სამეტყველო არეალი. ფონუტიკა/ფონოლოგია. თბილისი: გამომცემლობა „არადანი“.
- ბენდელიანი, ც. 2018. მოზაიკური სამეტყველო არეალი. მორფოლოგია. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ბენდელიანი, ც. ნაკანი, ნ. 1999. „სამეტყველო კოდების შერევისათვის ქვემო იმერეთში მცხოვრებ სვანთა მეტყველებაში“. ქართველური მეკვიდრეობა, III, ქუთაისი: გამომცემლობა „ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.
- ბურჭულაძე, გ. 2004. „ს.ჟღენტი და ქართული ხალხური სიმღერების ენის საკითხი“. XXIV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი: გამომცემლობა „ქართული ენა“.
- ვაინრაიხი, უ. 1968. „შესაძლებელია თუ არა სტრუქტურული დიალექტოლოგია“. მიმომხილველი, 4-5, თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- ვაკაბაძე, ს. 1913. აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხთა დიდი დავთარი. გამოსცა ს.ვაკაბაძემ, თბილისი: სტამბა ს.ლოსაბერიძისა.
- ვაკაბაძე, ს. 1914. ხონის საყდრის გამოსავალი დავთარი 1600 წლის ახლოს დროისა. გამოსცა ს.ვაკაბაძემ, თბილისი: სტამბა ს.ლოსაბერიძისა.
- ლომთაძე, თ. 2001. ქალაქური მეტყველების თავისებურებანი (ქ. ქუთაისის მაგალითზე). საკანდიდატო დისერტაცია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.
- საღინაძე, რ. 2017. „იმერეთის ლაპიდარულ წარწერათა ენა (IX-XII)“. ქართველური მეკვიდრეობა, XXI, ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

აკადი წერათლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოაზვ, 2024, №2(24)

- სეპირი, ე. 2005. პიროვნება, ენა, კულტურა. თბილისი: გამოცემლობა „უნივერსალი“.
- სოსიური, ფ. დე. 2002. ზოგადი ენათმეცნიერების კურსი. თბილისი: გამოცემლობა „დიოგენე“.
- ქლენტი, ს. 1965. ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები. თბილისი: გამოცემლობა „განათლება“.
- ჭინჭარაული, ა. 1999. „სამეტყველო კოდების შერევის ზოგი საკითხი ხევსურულ დიალექტში“. ქართველური მემკვიდრეობა, III, ქუთაისი: გამოცემლობა „ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.
- Ammon, U. k. J. Mattheier, P.H. Nelde. 1996. *Sociolinguistica*. Sonderdruck, Max Niemeyer Verlage, Tübingen Verlag.
- Вайнраих У. 1972. „Одноязычье и многоязычие“, *Новое в лингвистике*, вып. VI. Москва, издательство „Прогресс“.
- Шухардт, Г. 1959. *Избранные статьи по языкоznанию*, перевод с немецкого. Москва, 1950, (2023). Издательская группа URSS.

Language and Linguistics

Scientific research methodology of linguistic component of the Mosaik speech area

Tsiala Bendeliani

Tsiala.Bendeliani@atsu.edu.ge

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2024.2.24.03>

*For the study of speech code mixing at the level of morphosyntax, we use the terms we created: **mosaic speech area/speech mosaic area**, based on certain modifications, the terms: **morphosyntaxema, diamorphosyntactic construction; matrix of speech codes, hierarchy of speech codes**. In the case of the mosaic speech area, the **arrangement of various speech codes in the space** with the features introduced by the speech groups is emphasized, while in the mosaic speech area, we focus on the **temporal factor** of this arrangement. During migrations, these two terms cannot be separated from each other. In the research area, diquasiergative and diquasinominative constructions, as well as constructions with -ke (-ყ) suffix, were called diamorphosyntactic constructions. We use the speech code mixing demonstration method: **speech code hierarchy**; With a certain modification, we use the method of **compiling speech code matrices**. These methods may be used in other similar areas.*

Keywords: Mosaic speech area/speech mosaic area, diamorphosyntactic constructions, hierarchy of speech codes.

Extended Abstract. For the study of mixing of speech codes in the linguistic component of the speech code, we used the concept of mosaicism and the terms derived from it for the first time, and at the same time, we applied modifications of known syntactic terms to the research question. By mosaicism, we mean the existence of various speech codes gathered due to migrations over time in a specific speech territorial segment, among which speech code mixing processes are taking place. Even H. Schuchardt pointed out the importance of studying such areas in the study of language mixing.

According to sub-Imerian, the speech codes are not only territorially close to each other, but in some cases they are variants of one language, they have homogenous phonetics/phonology, morphology, morphosyntax, vocabulary that differ at the dialect level. Mixing processes also take place depending on the type of settlement of the migrating groups (compact/non-compact), duration of

coexistence, introduced and assimilated features.

Speech spaces in traditional dialect homogeneous/heterogeneous speech areas in Georgia require interdisciplinary research.

In the study area, in the Samegrelo's border zone of sub-Imeretian, from the beginning of the last century to the present day, due to household, eco-catastrophes, war in Abkhazia, etc. several dialects of the Georgian language came together: Lechkhumian, Adjarian, Meskhetian, as well as the Megrelian and Lentekhian, Cholurian, upper-Svanetian speech groups, the so-called "Turkish Meskhetians", so these methods allow us to observe very complex mixing processes in a structured space and time. These methods will be important for the research of similar areas in other parts of Georgia and not only those. All the more so when the immigration processes of the speech codes of representatives of other ethnic groups existed historically and are still intense in the areas where Georgian languages are spread in Georgia.

Using these methods, we have created our scientific monographs and articles on the levels of phonetics/phonology and morphology on the interdisciplinary plane based on the material that we had obtained in the same area of Sub-Imeretian (see Bendeliani: 2012: 2018), as well as numerous works. Based on the texts collected in the same area, we now investigate the issues of speech code mixing from the point of view of morphosyntax.

The study of the issues of morphosyntax by the method of mosaicism from the point of view of the mixing of speech codes shows us the linguistic and extralinguistic factors causing the mixing. Ethnographic terms and mixed linguistic material are woven into the linguistic component of the speech code.

Under conditions of mosaicism, it is easier to classify syntactic and morphosyntactic common and different events of the speech codes given here.

Mosaic speech area and speech mosaic area. These terms are not completely identical to each other, but they cannot be separated from each other due to the mixing of speech codes based on migration processes. The principle difference between these two terms is the relation of speech code mixing processes to space and time:

In mosaic speech areas, the spatial factor is decisive, because the space is occupied by neighboring settlements, historical, social, sociological, sociohistorical, folklore, confessional, educational, speech, ethnographic, forms of folk culture, beliefs and ideas, etc., brought from their historical residences. These data are complexly involved in mixing processes, each of which exists through language, each of which changes is reflected in language.

From the point of view of morphosyntax, it is interesting in case of

ც. ბენდელიანი

gathering together codes, for example, what is the influence of diquasiergative/diquasinominative constructions on each other, how extensive is the list of verbs where it is found, the frequency of its distribution, in particular, in relation to the literary code and neighboring codes.

The time factor is decisive in speech mosaic areas. Speech code-mixing is not a momentary process, it occurs in a short period after the settlement of a speech group, when the migrated group has to start communicating with the immediate environment. Later, these connections gradually expand. This is how speech code mixing processes begin.

In the mosaic areas, any one dialectal speech code can be generalized in the whole area: in the Georgian language codes of the Muhajirs, the peculiarities of Adjarian spread; Speech unity may not be formed.

If we compare **mosaicism** with U. Weinreich's **diasystem** method, the difference between them is that the diasystem method studies language differences or variants within the framework of one language, while the mosaicism method involves the mixing of speech and ethno-realities, both between the dialectal systems of one language, as well as the mixing conditions can be created by a foreign language Codes, both through speech and ethno-realities.

According to the diasystem method, in structural dialectology, the boundaries between language differences are established, while according to the mosaic method, such boundaries are not investigated, through it, in a specific territorial segment, research is conducted only on the influence and dependence of the codes collected on the basis of migrations over time with the receiving speech code, the code of the triliteral language.

Mosaic speech area/speech mosaic area is more voluminous, it equally accommodates both closed and open speech and ethnic groups and their speech data. It may also include an "**Insular**" speech group/code. "**Insular dialectology**" (V. Zhirmunsky) investigates the migrated unit in relation to the host and native codes, such relations are also investigated in conditions of mosaicism, because it becomes necessary to take into account the data of imported codes and ethno-realities.

Hierarchy of speech codes: when studying the hierarchy of speech codes at any level of language (in morphosyntax), we take into account the syntactic model of the language with which language variants we are dealing with, the dialectal norm of the dialects given in the settlement.

According to the levels of language model/grammar, speech expression is a hierarchy of speech codes: **literary language, pseudo-literary speech code, dialectal speech.** It can be constant for centuries or in the history of a given language, but

it is possible that the literary language may periodically lose its “prestige” or, on the contrary, become more “prestigious”, in this regard, many factors can act.

The Georgian literal tradition allows us to distinguish the sacred and secular variants in the literal code, which have coexisted side by side since the 11th century (T. Putkaradze, T. Bendeliani). This material is also provided in the research area, the data of deeds and church registers give us an idea about the speech codes used daily by secular and church people. In these documents, the forms of the spoken language, dialectisms according to the corners where the documents were compiled are given. For our research area, the language of the secular documents compiled in this area, the church registers, the lapidary data are of great importance: “The Book of the Khoni Temple is close to the year 1600”, as well as the language of the Imereti lapidary, “The Great Book of Catholic Peasants of Abkhazia” compiled in the 17th century.

A clear representation of the linguistic data of the speech mosaic area is provided by the presentation of **speech codes** according to the handle and verb expressions as matrices, where the mixed repertoires of the speech groups (/ individuals) are given in the territorial segments, in this case, according to our study area.

In morphosyntax, we consider it appropriate to use the term **morphosyntaxema** (comp. Syntaxema. L. Bloomfield). In this term, we mean the morphosyntactic fact, i.e., the typical and constant surrounding of an aivalent noun or verb in a morphosyntactic construction.

Representation of speech codes by matrices is known in special literature. With some modification, we have used this method in our early works as well, for example, in phonetics/phonology, at the level of morphology to describe the “permissible” and “forbidden” microcodes in the mixture of sub-ImeretianSvanetians from Lentekhi from the Georgian language codes.

The pseudo-literary code shows more proximity to the **intra-dialectal** code, which is mostly found in the folk poetry of the Eastern Mountains (S. Zhgenti, G. Burchuladze), it can also be found in prose and colloquial texts, where the speaker creates forms similar to literary forms and uses them according to his/her self-perception, e.g. time-related dialect forms, thereby “stands out” with the pretended knowledge of the literary language (A. Chincharauli).

As a result of the research, we came to the conclusion that the research dialect area can be divided into a **regiolect**, the basis of which we consider the mosaicity of this area, which in its essence implies the perspective of the formation of speech unity. In the paper, we use it as an actively working term.